თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7823907

ნომერი: AR11129950

თარიღი : 18.02.2026

გაცემის თარიღი : 26.02.2026

გაცნობის თარიღი : 27.02.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კრწანისის II შესახვევი, N 20ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2026 წლის 18 თებერვლის №AR11129950 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2025 წლის 01 ივლისის №7536564 ბრძანებაში ტექნკური შეცდომის გასწორება.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2026 წლის 23 თებერვლის №7817666 ბრძანებით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები არ იქნა შევსებული. კერძოდ, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილ მშენებლობის ორგანიზების პროექტში და კალენდარულ გრაფიკში, განსახორციელებელი მშენებლობის ვადად მითითებულია 8 თვე, რაც არ წარმოადგენს ტექნიკური შეცდომის გასწორების სამართლებრივ საფუძველს. როგორც უკვე განგემარტათ, 2025 წლის 19 ივნისის №AR11096428 განცხადებაზე წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების პროექტის აღწერილობით ნაწილში (მე-6 გვერდი), პირველი ეტაპის სამუშაოების ვადად მითითებულია - 2 თვე, მე-2 ეტაპის ვადად - 4 თვე. შესაბამისად, მშენებლობის ხანგრძლივობის ვადად ჯამში მითითებულია (მე-7 გვერდი) 6 თვე. გარდა აღნიშნულისა, მშენებლობის კალენდარულ გრაფიკში (მე-11 გვერდი) შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა გაწერილია 6 თვეზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური განმარტავს, რომ სამსახურის 2025 წლის 01 ივლისის №7536564 ბრძანებით მშენებლობის ვადა განსაზღვრული იყო 6 თვით. თუმცა, ტექნიკური შეცდომის გამო სამსახურის 2025 წლის 01 ივლისის №7536564 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა. კერძოდ, „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 01 ივლისიდან 2026 წლის 01 იანვრის ჩათვლით“, ნაცვლად არასწორად დაფიქსირდა შემდეგი ჩანაწერი: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 30 ივნისიდან 2025 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით. ამასთან, განგიმარტავთ, რომ შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების პროექტი და კალენდარული გრაფიკი მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით ხარვეზს არ შეიცავს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა, დაზუსტდეს მოთხოვნა, სამსახურის 2025 წლის 01 ივლისის №7536564 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში მშენებლობის ვადის გასწორებასთან (6 თვეზე) დაკავშირებით. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2026 წლის 18 თებერვლის №AR11129950 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.